სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N157

ქ. ბათუმი 11 მაისი 2017 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ჯაბა ბერიძის სახით და მეორე მხრივ ფ.პ. ირაკლი სირაბიძე (შემდგომში „შემსრულებელი“), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 92300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დეპარტამენტის სტუმრებისათვის, პოლონური ტურისტული კომპანიებისა და ქვემო სილეზიის სამარშალოს წარმომადგენლებისათვის პოლონეთის რესპუბლიკიდან (სულ 10 პიროვნება), 2017 წლის 14 მაისს უზრუნველყოს ფოლკლორული ღონისძიების (ქართული ხალხური სიმღერა 4 კაციანი ანსამბლით) ორგანიზება ქედაში - რესტორან აჭარულ ღვინის სახლში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 100 (ასი) ლარი. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხირდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - ნინო ხახუბია, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	ირაკლი სირაბიძე
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: *ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვაშტა*
	საიდენტიფიკაციო კოდი: *61008002145*
	ს.ს. „საქართველოს ბანკი“ *ბანკის კოდი – BAGAGE22* ანგარიში N *GE22BG0000000857222200*
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	ფიზიკური პირი
_____/ჯაბა ბერიძე/ ბ.ა.	_____/ირაკლი სირაბიძე/ ბ.ა.